ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი

23.09.2026 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი იმნაიშვილი, მაია ლომთაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, შ.პ.ს ,,ავტო-2018" -ის დირექტორი დავით გოგუაძე (თანამშრომლებთან ერთად), შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ვალერიან წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: სამსონ კვაჭაძე, თორნიკე მითაიშვილი, გოგი მორჩილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.შ.პ.ს ,,ავტო-2018" -ის დირექტორის დავით გოგუაძის წერილის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/

4.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მომართა შ.პ.ს. „მედალფას" (ს/ნ 404908043) გენერალურმა დირექტორმა კახაბერ იშხნელმა, (კანცელარიის ნომერი 10/302617081-30 – 19.06.2026 წელი) რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 27.06.56.803) დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „მედალფას" (ს/ნ 404908043) შორის არსებული სასყიდლიანი სარგებლობის უფლების (2021 წლის 14 ივლისის N1 სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების) მოქმედების ვადის გაგრძელება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს. „მედალფას" (ს/ნ 404908043) 5 წლის ვადით, გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას/კვირკველიას ქუჩაზე მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.56.803). აღნიშნული ქონების წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარით, რაც ყოველთვიურად შეადგენს 208,34 ლარს.

დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძის აზრით, სასურველია ე. წ პანდუსის მოწყობა მუნიციპალიტეტის სხვა ლოკაციაზე, რათა მეტად იქნას უზრუნველყოფილი მოქალაქეთა უსაფრთხოება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი 1. (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან

აღნიშნა, რომ ელექტრონული აუქციონებით გასხვისდა სოფელ გვიმბალაურში მდებარე 121 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1,46 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.08.46.269) და სოფელ ნიგვზიანში მდებარე 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.14.44.539), შესაბამისად საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და პრივატიზების გეგმიდან ამოსაღებია ეს ორი ობიექტი. მისივე განმარტებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმას დაემატოს 70.397 კუბური მეტრი ხის (კედარი) მორები, რომლის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს 23934.98 ლარს, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილი 1998 წელს დამზადებული MITSUBISHI PAJERO 1.8 IO საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 4000 ლარი და 2011 წელს დამზადებული KIA SPORTAGE საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 8000 ლ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი 1. (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: შ.პ.ს ,,ავტო-2018" -ის დირექტორის დავით გოგუაძის წერილი კომისიას გააცნო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ.

შპს ,,ავტო-2018"-ის დირექტორმა, დავით გოგუაძემ აღნიშნა, რომ ოდითგანვე მათ საქმიანობას საქალაქთაშორისო რეისების შესრულება წარმოადგენს, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მგზავრთა გადაყვანას ემსახურება. ყავთ კვალიფიცირებული ხელმძღვანელობა და მძღოლები. (დაახლოებით 50-მდე თანამშრომელი) სატრანსპორტო საშუალებები არის მძღოლების საკუთრება. მისი განმარტებით, შპს არეგულირებს საქალაქთაშორისო მარშრუტებს, დაცულია რეისებს შორის მოძრაობის დრო. მიღებული რეგულაციების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით გასაჩერებელი ფართის გამო ადგილი აქვს მძღოლების შევიწროებას.
შპს ,,ავტო-2018"-ის დირექტორის განმარტებით, მათი თხოვნაა, რომ საქალაქთაშორისო სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყოს გაჩერების ადგილი, რათა მოსახლეობას გადაადგილებასთან დაკავშირებით არ შეექმნას პრობლემა.

შპს ,ავტო 2018"-ს თანამშრომელმა, ასმათ ჯორბენაძემ გამოხატა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის წარმომადგენლებს ადგილზე ელოდებოდნენ, რათა თითოეული საბუთი მათთვის დეტალურად გაეცნო. მისი თქმით, 2013 წელს როცა შეიქმნა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, მათ გამოაგზავნეს წერილი, რომლითაც ითხოვდნენ მუნიციპალიტეტში არსებული საქალაქთაშორისო მარშრუტების დაზუსტებას და მძღოლების დაფიქსირებას. 2022 წელს ტრანსპორტის სააგენტომ გამოუშვა ახალი კანონი ავტოსადგომების და ავტოსადგურების დარეგულირების მიზნით. ამავე წელს ტრანსპორტის სააგენტოს წერილობითი მოთხოვნით ქალაქთა შორის შეთანხმების საფუძველზე გადაიგზავნა ყველა ინფორმაცია მძღოლებისა და მარშრუტების შესახებ, რის შემდეგაც განხორციელდა რეგისტრაციაში გატარება. მისივე განმარტებით, თავის დროზე, სააგენტოს მიერ შემოწმდა გაჩერებისთვის გამოყოფილი ტერიტორია და მძღოლების მონაცემები, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს. ასევე, შპს-ს აქვს გარკვეული ვალდებულება, როგორც ზემდგომ უწყებასთან, ასევე,

სახელმწიფოსთან. აღნიშნა, რომ შპს „ავტო 2018“-თვის ლიცენზიისა და სტატუსის მინიჭებისათვის, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს სატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებლად ადგილი. მისი განმარტებით, შპს-ს საქმიანობა ხელს არ შეუშლის მუნიციპალურ ტრანსპორტს, ვინაიდან არ ემთხვევა მათი განრიგები. მოსახლეობა მგზავრობის საფასურიდან გამომდინარე, ძირითადად სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი არ გადაადგილდება სხვა ქალაქში. მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტი ვალდებულია გამოყოს ტრანსპორტის გაჩერების ადგილი, ვინაიდან აღნიშნული შპს „ავტო 2018“ ემსახურება რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობას. მან ასევე აღნიშნა, რომ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომ გამოყოფილი ჰქონდათ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს ავტოსადგური და არ არსებობს შესაბამისი რესურსი მის მოსაწყობად, ამ ეტაპზე პროცესი შეჩერებულია მხოლოდ იმ ჯგუფის რეგისტრაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა გაჩერება/ჩასხდომის კონკრეტული ადგილის გამოყოფას. გამომდინარე აქედან, თხოვნაა გამოიყოს და მოეწყოს კონკრეტული გაჩერების ადგილი/ზონა, სადაც ავტობუსები შეძლებენ გაჩერებას, ხოლო მგზავრები უსაფრთხოდ ჩასხდომას და მგზავრობას.

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორმა ვალერიან წულაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა ტერიტორია გადასცა შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“, რომლის ინტერესიცაა აღნიშნული ფართის მოწყობა-მოწესრიგება. მისი თქმით, ტაქსებსა და ავტობუსებს ექნებათ თავისი ფართი გამოყოფილი, დაიხაზება ტერიტორია და მოეწყობა განათების სისტემები. ასევე აღნიშნა, რომ საქალაქთაშორისოზეც ჰქონდა გათვალისწინებული ადგილი ქალაქის ცენტრში. მისი მხრიდან იყო შეთავაზება შპს-ზე ტერიტორიის იჯარით აღება თაობაზე, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძეს მართებულად მიაჩნია, რომ პრობლემური საკითხი მოქალაქეთა საკეთილდღეოდ უნდა იქნას მოგვარებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დეტალურად განიხილა საკითხის არსი, არსებული მდგომარეობა და შესაბამისი გარემოებები. მსჯელობის შედეგად აღინიშნა, რომ საკითხის სათანადოდ მოწესრიგებისა და შემდგომი განხორციელების მიზნით საჭიროა მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით განახორციელონ-შესაბამისი ღონისძიებები, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.

მომხრე 5, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №11

23.09.2026 წელი
12:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/
/ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.შ.პ.ს ,,ავტო-2018" -ის დირექტორის დავით გოგუაძის წერილის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი:/ზაზა წულაძე/

4.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,მედალფასთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: შ.პ.ს „ავტო-2018“ -ის დირექტორის დავით გოგუაძის წერილთან დაკავშირებით იმსჯელა **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ,** დეტალურად განიხილა საკითხის არსი, არსებული მდგომარეობა და შესაბამისი გარემოებები. მსჯელობის შედეგად აღინიშნა, რომ საკითხის სათანადოდ მოწესრიგებისა და შემდგომი განხორციელების მიზნით საჭიროა მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.
მომხრე 5, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.09. 2026 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი		ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
3	ვლადიმერ ნანაძე	11 56	
4	მაია ლომთაძე	11 59	
5	სამსონ კვაჭაძე	არ ესწრებოდა	
6	გოგი მორჩილაძე	არ ესწრებოდა	
7	კარლო კვიტაიშვილი	10 55	
8	თორნიკე მითაიშვილი	არ ესწრებოდა	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	